ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3614070

ნომერი: AR1545873

თარიღი : 02.10.2017

გაცემის თარიღი : 17.10.2017

გაცნობის თარიღი : 17.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , ნაკვეთი 07/031 / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი 7/3) / ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩის დასაწყისში , (ნაკვეთი N7/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ხარშილაძე პ/ნ 01024031166
- თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 49/3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 2 ოქტომბერს #AR1545873 განცხადებით მომართა მოქალაქე თეიმურაზ ხარშილაძემ და მოითხოვა 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობითი პირობები მომზადებულია N1/11/19/7/3 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 450 მ2) საკვების ობიექტის აშენების მიზნით, განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივი–საქმიანი

(შერეული) ზონის პარამეტრებით და პირობებით.
სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3179155 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში და ობიექტის დასახელებად დაფიქსირდა საპრეზენტაციო-საგანმანათლებლო აგრარული ცენტრი და ცალკე მდგომი სავაჭრო-საგამოფენო პავილიონი. საკადასტრო კოდად დაფიქსირდა N01.11.19.007.044; მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 818 კვ.მ.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ობიექტის დასახელებას დაემატოს საყრდენი კედელი და ავტოსადგომი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდეს ხსენებული ცვლილებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებში და საპროექტო ობიექტს დაემატოს: საყრდენი კედელი და ავტოსადგომი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 20 ოქტომბრის №თ–1/47 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 მარტის №3179155 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.